აუტიზმის მოდიფიცირებული კითხვარი ადრეული ასაკის ბავშვებისთვის M-CHAT

თუ შეიძლება შეავსეთ შემდეგი კითხვარი იმის მიხედვით, თუ ჩვეულებრივ როგორ იქცევა თქვენი ბავშვი. შეეცადეთ უპასუხოთ ყველა კითხვას. თუ ქცევა იშვიათია (მაგ.: თქვენ გინახავთ ერთხელ ან ორჯერ), უპასუხეთ, ისე თითქოს ბავშვს არ გაუკეთებია ის (ანუ უპასუხეთ „არა“).

1.	სიამოვნებს ბავშვს თქვენს მუხლზე ქანაობა ან რწევა?	კი	არა
2.	გამოხატავს თქვენი ბავშვი ინტერესს სხვა ბავშვების მიმართ?	კი	არა
3.	მოsწონს თქვენ ბავშვს სხვადასხვა საგანზე აძრომა/აცოცება, როგორიცაა კიბე?	კი	არა
4.	სიამოვნებს თქვენ ბავშვს თამაში “ჭიტა”/დამალობანა?	კი	არა
5.	შეუძლია ბავშვს წარმოდგენა/წარმოსახვა, მაგ.: ვითომ ტელეფონზე ლაპარაკობს, თოჯინას უვლის ან ვითომ სხვა რამეს აკეთებს?	კი	არა
6.	იყენებს თქვენი ბავშვი საჩვენებელ თითს რაიმეზე მისანიშნებლად, რაიმეს მოსათხოვნად?	კი	არა
7.	იყენებს თქვენი ბავშვი საჩვენებელ თითს რაიმეზე მისანიშნებლად, რაიმე საგნის მიმართ ინტერესის გამოსახატავად?	კი	არა
8.	შეუძლია ბავშვს ითამაშოს პატარა ზომის სათამაშოებით (მაგ.: მანქანა, კუბები) დანიშნულებისამებრ პირში ჩადების, ძირს დაგდების და უაზროდ (გაუჩერებლად) ტრიალის/მოძრაობის გარეშე?	კი	არა
9.	მოაქვს თქვენ ბავშვს თქვენთვის (მშობლისთვის) საჩვენებლად რაიმე საგანი?	კი	არა
10.	გიყურებთ თქვენი ბავშვი თვალებში ერთ-ორ წამზე მეტ ხანს?	კი	არა
11.	ოდესმე გამოუხატავს თქვენ ბავშვს გადაჭარბებული რეაქცია ხმაურის მიმართ (მაგ.: თითებით ყურების დაცობა)?	კი	არა
12.	გიღიმით ბავშვი თქვენი სახის დანახვისას ან ღიმილის საპასუხოდ?	კი	არა
13.	გბაძავთ ბავშვი თქვენ? (მაგ. თუ თქვენ ემანჭებით - იმეორებს ბავშვი თქვენი სახის გამომეტყველებას)	კი	არა
14.	რეაგირებს თქვენი ბავშვი თავის სახელზე, როდესაც ეძახით მას?	კი	არა
15.	თუ თქვენ მიუთითებთ ბავშვს სათამაშოზე ოთახის გასწვრივ/მეორე მხარეს, შეხედავს ბავშვი მას?	კი	არა
16.	დადის თქვენი ბავშვი?	კი	არა
17.	უყურებს ბავშვი იმ საგნებს, რომლებსაც თქვენ უყურებთ?	კი	არა
18.	ხომ არ აკეთებს ბავშვი თავისი სახის ახლოს თითებს უჩვეულო მოძრაობებს?	კი	არა
19.	ცდილობს ბავშვი მიიქციოს თქვენი ყურადღება საკუთარ აქტივობაზე?	კი	არა
20.	ხომ არ გაგჩენიათ ეჭვი, რომ თქვენი ბავშვი ყრუა?	კი	არა
21.	ესმის თქვენ ბავშვს სხვისი საუბარის მნიშვნელობა?	კი	არა
22.	ხანდახან ხომ არ აშტერდება თქვენი ბავშვი რამეს უაზროდ ან ხომ არ დადის უმიზნოდ?	კი	არა
23.	შემოგხედავთ ბავშვი სახეზე თქვენი რეაქციის შესაფასებლად, როდესაც წააწყდება რაიმეს მისთვის უჩვეულოს/უცნობს?	კი	არა

© 1999 Diana Robins, Deborah Fein & Marianne Barton / Originalpublikation: Robins, D., Fein, D., Barton, M. & Green, J. (2001). The Modified Checklist for Autism in Toddlers: An initial study investigating the early detection of autism and pervasive developmental disorders. Journal of Autism and Developmental Disorders, 31, 131-144.

Georgian translation by Nani Kavlashvili, Eka Kandelaki, Maia Kherkheulidze 2015

რისკის პასუხებს მიეკუთვნება „კი“ კითხვებზე 11, 18, 20 და 22 და „არა“ დანარჩენ კითხვებზე. იანგარიშეთ რისკის შემცველი პასუხების საერთო რაოდენობა.

M-CHAT შეფასების ალგორითმი (http://mchatscreen.com/?page_id=337):

- M-CHAT **საერთო ქულა 0-2** - მეთვალყურეობა არ არის საჭირო. თუ ბავშვი 24 თვეზე პატარაა, ჩაატარეთ სკრინინგი 24 თვის ასაკში (ან დაბადების დღიდან 3 თვის განმავლობაში). განაგრძეთ განვითარებაზე ზედამხედველობა.
- M-CHAT **საერთო ქულა 3-6** - რისკის შესაფასებლად გამოიყენეთ M-CHAT/F. თუ ქულა 3 და მეტია, მოახდინეთ რეფერალი დაუყოვნებელი დიაგნოსტიკური შეფასებისა და ადრეული ინტერვენციის სერვისებში შესაძლო ჩართვის მიზნით. გაითვალისწინეთ, თუ შემდგომი მეთვალყურეობის ქულა 2-ია, საჭიროა ზედმიწევნითი მონიტორინგი, ვინაიდან შეიძლება საჭირო გახდეს რეფერალი.
- M-CHAT **საერთო ქულა 7-23** - ბავშვს აღენიშნება აუტისტური სპექტრი დარღვევების ან სხვა განვითარების შეფერხების რისკი. შესაძლებელია დაუყოვნებლივი რეფერალი M-CHAT/F-ის ჩატარების გარეშე.

შენიშვნა: M-CHAT შექმნილია 16-30 თვის ასაკის ბავშვთა მშობლებისთვის. თუ ის სხვანაირად გამოიყენება, არ უნდა მოხდეს შედეგების ინტერპრეტაცია. მაგ.: თუ მას იყენებენ უფრო მცირე ან დიდი ასაკის ბავშვებში, ვიდრე ვალიდაცია იყო ჩატარებული, ან თუ ის ივსება არა მშობლის არამედ სხვის მიერ, შედეგები შეიძლება არ იყოს ვალიდური.

© 1999 Diana Robins, Deborah Fein & Marianne Barton / Originalpublikation: Robins, D., Fein, D., Barton, M. & Green, J. (2001). The Modified Checklist for Autism in Toddlers: An initial study investigating the early detection of autism and pervasive developmental disorders. Journal of Autism and Developmental Disorders, 31, 131-144.
Georgian translation by Nani Kavlashvili, Eka Kandelaki, Maia Kherkheulidze 2015